

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 30 იანვრის

N9 დადგენილებით

„აკადემიური პერსონალის არჩევის წესი“

ბათუმი,
2017 წ

თავი I. აკადემიური პერსონალის არჩევისა და თანამდებობის დაკავების წინაპირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. „აკადემიური პერსონალის არჩევის წესი“ (შემდგომში - დებულება) არეგულირებს შპს «ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმში“ (შემდეგში წოდებული როგორც „სასწავლო უნივერსიტეტი“) აკადემიური პერსონალის არჩევის, თანამდებობის დაკავებისა და კონკურსის ჩატარების წესს.
2. წინამდებარე დებულების მიზანია უზრუნველყოს სასწავლო უნივერსიტეტის კვალიფიციური აკადემიური პერსონალით დაკომპლექტება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, კონკურსის საჯაროობის, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების განუხრელი დაცვით.
3. წინამდებარე დებულება შემუშავებულია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის და სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი ნორმატიული აქტების საფუძველზე.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. ამ დებულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:
 - ა) „პროფესორი“ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც უძღვება სასწავლო პროცესს და ხელმძღვანელობს სტუდენტების სამეცნიერო - კვლევით მუშაობას;
 - ბ) „ასოცირებული პროფესორი“ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობა. ასოცირებული პროფესორი მონაწილეობს სასწავლო პროცესში და ხელმძღვანელობს სტუდენტების სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას;
 - გ) „ასისტენტ-პროფესორი“ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც თავისი კომპეტენციის შესაბამისად მონაწილეობს სასწავლო და სამეცნიერო კვლევით პროცესებში;
 - დ) „ასისტენტი“ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში ახორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს პროფესორის, ასოცირებული პროფესორის და ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით;
 - ე) „აკადემიური ხარისხი“ - კვალიფიკაცია, რომელსაც პირს აკადემიური უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის დამთავრებისას ანიჭებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება;
 - ვ) „საპროცედურო კომისია“ - რექტორის ბრძანების საფუძველზე შექმნილი კომისია, რომელიც ახორციელებს კონკურსანტთა დოკუმენტების მიღებას, რეგისტრაციაში გატარებას და საკონკურსო კომისიისათვის გადაცემას;
 - ზ) „საკონკურსო კომისია“ - რექტორის ბრძანების საფუძველზე შექმნილი კომისია, რომელიც ახდენს კონკურსანტთა შეფასებას და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენას;
 - თ) „კონკურსანტი“ - სასწავლო უნივერსიტეტში გამოცხადებული აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველი ფიზიკური პირი;
 - ი) „აფილირება“ - შპს „ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმ“-სა (შემდგომში „სასწავლო უნივერსიტეტი“) და აკადემიური თანამდებობის მქონე პირს შორის წერილობითი შეთანხმება, რომლითაც აკადემიური თანამდებობის მქონე პირი განსაზღვრავს აფილირებას მხოლოდ სასწავლო უნივერსიტეტთან და სასწავლო

უნივერსიტეტის სახელით მონაწილეობს საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის პროცესებში და ამ სასწავლო უნივერსიტეტში:

- ახორციელებს ძირითად საგანმანათლებლო, კვლევით/სამეცნიერო საქმიანობას, ხოლო მისი კვლევის შედეგები ეთვლება სასწავლო უნივერსიტეტს;
- აქტიურად არის ჩართული სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო, კვლევით და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში;
- აქტიურად არის ჩართული სტუდენტებისათვის კონსულტაციების გაწევისა აკადემიური/სამეცნიერო ხელმძღვანელობის პროცესში;
- იმ შემთხვევაში, თუ სასწავლო უნივერსიტეტში აფილირებული პირი ახორციელებს ერთობლივ კვლევას სხვა უნივერსიტეტთან ერთად, რომელთანაც ბაუ-ს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმი, კვლევის შედეგები ეთვლება ორივე უნივერსიტეტს.

მუხლი 3. კონკურსის ჩატარების ადმინისტრირება/კონკურსის გამოცხადება

1. აკადემიური პერსონალის არჩევა/დანიშვნა ხორციელდება კონკურსის საფუძველზე წინამდებარე დებულებით დადგენილი წესით.
2. კონკურსის ჩატარებას უზრუნველყოფს რექტორის ბრძანების საფუძველზე შექმნილი კომისიები, რომელთა დაკომპლექტებისა და მუშაობის წესი განისაზღვრება წინამდებარე დებულებით.
3. კონკურსი აკადემიური თანამდებობის დაკავების თაობაზე ცხადდება სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით. რექტორის ბრძანებაში მიეთითება ვაკანტური აკადემიური თანამდებობები, რეგისტრაციის ვადები, კონკურსის ჩატარების ადგილი. კონკურსის ადმინისტრირებას უზრუნველყოფს სასწავლო უნივერსიტეტში რექტორის ბრძანების საფუძველზე შექმნილი საპროცედურო და საკონკურსო კომისიები.
4. კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება სასწავლო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და დასაქმების სხვა ოფიციალურ ინტერნეტ ვებ-გვერდზე ერთი თვით ადრე.
5. თუ კონკრეტული საკონკურსო ვადა სრულდება სასწავლო უნივერსიტეტისათვის არასამუშაო ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უქმე დღეს, საკონკურსო ვადის დასრულების კონკრეტულ დღედ ითვლება მომდევნო სამუშაო დღე 18:00 საათამდე.
6. კონკურსი ტარდება შემდეგი თანმიმდევრობით:
 - ა) კონკურსის გამოცხადება;
 - ბ) დოკუმენტების მიღება;
 - გ) დოკუმენტების გადარჩევა - განხილვა;
 - დ) ტესტირება ინგლისურ ენაში (საჭიროების შემთხვევაში);
 - ე) კონკურსანტებთან ზეპირი გასაუბრება;
 - ვ) საცდელი ლექციის ჩატარება (საჭიროების შემთხვევაში);
 - ზ) გამარჯვებულ კონკურსანტთა გამოვლენა და აღნიშნულის შესახებ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსება.

მუხლი 4. აკადემიური თანამდებობის დაკავებისთვის დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები

1. სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს პირი 6 (ექვსი) წლის ვადით თუ იგი აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:
 - ა) აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და არანაკლებ 6 (ექვსი) წლიანი მუშაობის გამოცდილება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამეცნიერო-პედაგოგიური მიმართულებით.
 - ბ) კლინიკური მიმართულებით არჩევის შემთხვევაში დამატებით უნდა ჰქონდეს კონკრეტული მიმართულების სერთიფიკატი და ბოლო 9 (ცხრა) წელი კლინიკური გამოცდილება იმავე მიმართულებაში.
2. სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს პირი 6 (ექვსი) წლის ვადით თუ აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:
 - ა) აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და არანაკლებ 3 (სამ) წლიანი მუშაობის გამოცდილება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამეცნიერო-პედაგოგიური მიმართულებით;
 - ბ) კლინიკური მიმართულებით არჩევის შემთხვევაში დამატებით უნდა ჰქონდეს კონკრეტული მიმართულების სერთიფიკატი და ბოლო 5 (ხუთი) წელი კლინიკური გამოცდილება იმავე მიმართულებაში.
3. სასწავლო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს პირი 3 (სამი) წლის ვადით თუ აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:
 - ა) პირს აქვს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი.
 - ბ) კლინიკური მიმართულებით არჩევის შემთხვევაში დამატებით უნდა ჰქონდეს კონკრეტული მიმართულების სერთიფიკატი და ბოლო 5 (ხუთი) წელი კლინიკური გამოცდილება იმავე მიმართულებაში.
4. სასწავლო უნივერსიტეტის ასისტენტის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორანტი 3 (სამი) წლის ვადით.
 - ა) კლინიკური მიმართულებით არჩევის შემთხვევაში უნდა იყოს დოქტორანტი კლინიკური მიმართულებით.
5. სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს პირი პროფესიული ნიშნით ასისტენტ პროფესორის თანამდებობაზე 3 (სამი) წლის ვადით. ამ შემთხვევაში პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, პედაგოგიური გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით და ჰქონდეს მიმართულების სერტიფიკატი და ბოლო 5 (ხუთი) წელი კლინიკური გამოცდილება იმავე მიმართულებაში. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

მუხლი 5. კონკურსისათვის წარმოსადგენი დოკუმენტები

1. კონკურსში მონაწილეობის მსურველი კონკურსანტი ვალდებულია საკონკურსო დოკუმენტაცია წინამდებარე დებულებითა და რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში წარუდგინოს სასწავლო უნივერსიტეტის საპროცედურო კომისიას.
2. კონკურსის მონაწილეობის მსურველმა უნდა წარადგინოს განაცხადი მხოლოდ ერთ მისთვის სასურველ აკადემიურ თანამდებობაზე.
3. პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსანტი ვალდებულია საპროცედურო კომისიას წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები:
 - ა) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის, ან პასპორტის ასლი;
 - ბ) განცხადება (დანართი 2);

გ) სააპლიკაციო ფორმა (დანართი 3);

დ) 2 (ორი) ფოტოსურათი, ზომით 3X4;

ე) უმაღლესი განათლებისა და შესაბამისი აკადემიური (სამეცნიერო) ხარისხის (დოქტორთან გათანაბრებული/დოქტორი) დამადასტურებელი დოკუმენტის/ების ასლი ნოტარიულად დამოწმებული (უცხოეთში მიღებული განათლების შემთხვევაში, მიღებული განათლების აღიარებს შესახებ დოკუმენტი);

ვ) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტი (პრაქტიკოსი ექიმის შემთხვევაში დამატებით უნდა იქნას წარმოდგენილი კლინიკაში მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტი და მიმართულების სერთიფიკატი), დამოწმებული შესაბამისი დაწესებულების მიერ;

ზ) სახელმძღვანელო ან/და ელექტრონული სალექციო კურსი (გამოცხადებულ საკონკურსო დარგში ან/და მიმართულებაში) ან/და კონკურსანტის ხელმძღვანელობით შედგენილი აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამა.

თ) კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების/ტრენინგების გავლის დამადასტურებელი სერთიფიკატი (დარგში ან/და მიმართულებაში ან/და სწავლების მეთოდებში მის მიერ არჩეული ვაკანტური მიმართულების შესაბამისად);

ი) ერთი სასწავლო კურსის სილაბუსი, რომლის წაყვანასაც გეგმავს კონკურსანტი სასწავლო უნივერსიტეტში;

კ) გამოქვეყნებული პუბლიკაციების ჩამონათვალი და ჟურნალის პირველი გვერდისა და სარჩევის ქსეროასლი, რომლის დედანთან შესაბამისობას დაამოწმებს საპროცედურო კომისია ადგილზე (ბოლო 6 წლის განმავლობაში, არაუმეტეს ათისა).

ლ) მოხსენებები ეროვნულ, საერთაშორისო და/ან ონლაინ კონფერენციებზე საკონფერენციო პროგრამის პირველი გვერდისა და სარჩევის ქსეროასლი, რომლის დედანთან შესაბამისობას დაამოწმებს საპროცედურო კომისია ადგილზე, ონლაინ კონფერენციის შემთხვევაში ლინკის მითითებით (ბოლო 6 წლის განმავლობაში, არაუმეტეს ათისა).

მ) დაფინანსებული სამეცნიერო ან სხვა სახის პროექტი/ები (ბოლო 6 წლის განმავლობაში);

ნ) საკონკურსო მიმართულების შესაბამისი ერთი სამეცნიერო ნაშრომი (კონკურსანტის გადაწყვეტილებით), რომელიც ყველაზე უკეთ წარმოაჩენს მის სამეცნიერო საქმიანობას, გამოქვეყნებული ბოლო 10 (ათი) წლის განმავლობაში საერთაშორისო ციტირების ან რეცენზირებადი ინდექსის მქონე ჟურნალში. ბეჭდურის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნას ჟურნალის პირველი გვერდისა და ტექსტის ქსეროასლი, რომლის დედანთან შესაბამისობას დაამოწმებს საპროცედურო კომისია ადგილზე, ხოლო ელექტრონულ ჟურნალში გამოქვეყნებულის შემთხვევაში - ონლაინ ვერსია.

ო) საკონკურსო თანამდებობის შესაბამისი მიმართულების/დარგის განვითარების, სწავლებისა და სამეცნიერო კვლევების კონცეფცია;

პ) სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ჟ) სხვა მიღწევების, დამსახურებების, სტიპენდიების, ჯილდოების დამადასტურებელი სერთიფიკატი/ები ქსეროასლები, რომლის დედანთან შესაბამისობას დაამოწმებს საპროცედურო კომისია ადგილზე;

რ) ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი (ინგლისური ენის ცოდნის B2 დონის სერთიფიკატი (TOEFL (iBT 79); IELTS 6.5 (Acad.); FCE B; YDS 80; Pearson PTE Acad. 78) ან უსდ-ს ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ათვისების დამადასტურებელი დიპლომი, ან ცნობა უსდ-დან, რომ სასწავლო კურსი მიჰყავდა ინგლისურ ენაზე (კურსის ხანგრძლივობა უნდა იყოს მინიმუმ ერთი თვე), ან სწავლების საერთაშორისო გამოცდილების დამადასტურებელი სერთიფიკატი. იმ შემთხვევაში, თუ

განმცხადებელი ვერ წარმოადგენს ზემოთაღნიშნულ ვერც ერთ დოკუმენტს, ის აბარებს სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ ინგლისური ენის გამოცდას.

4. ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსანტი ვალდებულია საპროცედურო კომისიას წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის, ან პასპორტის ასლი;

ბ) განცხადება (დანართი 2);

გ) სააპლიკაციო ფორმა (დანართი 3);

დ) 2 (ორი) ფოტოსურათი, ზომით 3X4;

ე) უმაღლესი განათლებისა და შესაბამისი აკადემიური (სამეცნიერო) ხარისხის (დოქტორთან გათანაბრებული/დოქტორი) დამადასტურებელი დოკუმენტის/ების ასლი ნოტარიულად დამოწმებული;

ვ) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტი (პრაქტიკოსი ექიმის შემთხვევაში დამატებით უნდა იქნას წარმოდგენილი კლინიკაში მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტი და მიმართულების სერტიფიკატი), დამოწმებული შესაბამისი დაწესებულების მიერ;

ზ) კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების/ტრენინგების გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი (დარგში ან/და მიმართულებაში ან/და სწავლების მეთოდებში მის მიერ არჩეული ვაკანტური მიმართულების შესაბამისად);

თ) ერთი სასწავლო კურსის სილაბუსი, რომლის წაყვანასაც გეგმავს კონკურსანტი სასწავლო უნივერსიტეტში;

ი) გამოქვეყნებული პუბლიკაციების ჩამონთვალი და ჟურნალის პირველი გვერდისა და სარჩევის ქსეროასლი, რომლის დედანთან შესაბამისობას დაამოწმებს საპროცედურო კომისია ადგილზე (ბოლო 6 წლის განმავლობაში, არაუმეტეს ათისა).

კ) მოხსენებები ეროვნულ, საერთაშორისო და/ან ონლაინ კონფერენციებზე საკონფერენციო პროგრამის პირველი გვერდისა და სარჩევის ქსეროასლი, რომლის დედანთან შესაბამისობას დაამოწმებს საპროცედურო კომისია ადგილზე, ონლაინ კონფერენციის შემთხვევაში ლინკის მითითებით (ბოლო 6 წლის განმავლობაში, არაუმეტეს ათისა).

ლ) დაფინანსებული სამეცნიერო ან სხვა სახის პროექტი/ები (ბოლო 6 წლის განმავლობაში);

მ) საკონკურსო მიმართულების შესაბამისი ერთი სამეცნიერო ნაშრომი (კონკურსანტის გადაწყვეტილებით), რომელიც ყველაზე უკეთ წარმოაჩენს მის სამეცნიერო საქმიანობას, გამოქვეყნებული ბოლო 10 (ათი) წლის განმავლობაში საერთაშორისო ციტირების ან რეცენზირებადი ინდექსის მქონე ჟურნალში. ბეჭდურის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნას ჟურნალის პირველი გვერდისა და ტექსტის ქსეროასლი, რომელის დედანთან შესაბამისობას დაამოწმებს საპროცედურო კომისია ადგილზე, ხოლო ელექტრონულ ჟურნალში გამოქვეყნებულის შემთხვევაში - ონლაინ ვერსია.

ნ) სხვა მიღწევების, დამსახურებების, სტიპენდიების, ჯილდოების დამადასტურებელი სერტიფიკატი/ები ქსეროასლები, რომელის დედანთან შესაბამისობას დაამოწმებს საპროცედურო კომისია ადგილზე;

ო) ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი (ინგლისური ენის ცოდნის B2 დონის სერტიფიკატი (TOEFL (iBT 79); IELTS 6.5 (Acad.); FCE B; YDS 80; Pearson PTE Acad. 78) ან უსდ-ს ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ათვისების დამადასტურებელი დიპლომი, ან ცნობა უსდ-დან, რომ სასწავლო კურსი მიჰყავდა ინგლისურ ენაზე (კურსის ხანგრძლივობა უნდა იყოს მინიმუმ ერთი თვე), ან სწავლების საერთაშორისო გამოცდილების დამადასტურებელი სერტიფიკატი. იმ შემთხვევაში, თუ

განმცხადებელი ვერ წარმოადგენს ზემოთაღნიშნულ ვერც ერთ დოკუმენტს, ის აბარებს სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ ინგლისური ენის გამოცდას.

5. ასისტენტ-პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად, კონკურსანტი ვალდებულია საპროცედურო კომისიას წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის, ან პასპორტის ასლი;

ბ) განცხადება (დანართი 2);

გ) სააპლიკაციო ფორმა (დანართი 3);

დ) 2 (ორი) ფოტოსურათი, ზომით 3X4;

ე) უმაღლესი განათლებისა და შესაბამისი აკადემიური (სამეცნიერო) ხარისხის (დოქტორთან გათანაბრებული/დოქტორი) დამადასტურებელი დოკუმენტის/ების ასლი ნოტარიულად დამოწმებული;

ვ) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტი (პრაქტიკოსი ექიმის შემთხვევაში დამატებით უნდა იქნას წარმოდგენილი კლინიკაში მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტი), დამოწმებული შესაბამისი დაწესებულების მიერ;

ზ) კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების/ტრენინგების გავლის დამადასტურებელი სერთიფიკატი (დარგში ან/და მიმართულებაში ან/და სწავლების მეთოდებში მის მიერ არჩეული ვაკანტური მიმართულების შესაბამისად), ან მიღწევების, ან დაფინანსებული სამეცნიერო პროექტების, ან დამსახურებების დამადასტურებელი დოკუმენტი;

თ) გამოქვეყნებული პუბლიკაციების ჩამონთვალი და ჟურნალის პირველი გვერდისა და სარჩევის ქსეროასლი, რომლის დედანთან შესაბამისობას დაამოწმებს საპროცედურო კომისია ადგილზე (ბოლო 6 წლის განმავლობაში, არაუმეტეს ათისა).

ი) მოხსენებები ეროვნულ, საერთაშორისო ან/და ონლაინ კონფერენციებზე საკონფერენციო პროგრამის პირველი გვერდისა და სარჩევის ქსეროასლი, რომლის დედანთან შესაბამისობას დაამოწმებს საპროცედურო კომისია ადგილზე, ონლაინ კონფერენციის შემთხვევაში ლინკის მითითებით (ბოლო 6 წლის განმავლობაში, არაუმეტეს ათისა).

კ) საკონკურსო მიმართულების შესაბამისი ერთი სამეცნიერო ნაშრომი (კონკურსანტის გადაწყვეტილებით), რომელიც ყველაზე უკეთ წარმოაჩენს მის სამეცნიერო საქმიანობას, გამოქვეყნებული ბოლო 10 (ათი) წლის განმავლობაში საერთაშორისო ციტირების ან რეცენზირებადი ინდექსის მექონე ჟურნალში. ბეჭდურის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნას ჟურნალის პირველი გვერდისა და ტექსტის ქსეროასლი, რომლის დედანთან შესაბამისობას დაამოწმებს საპროცედურო კომისია ადგილზე, ხოლო ელექტრონულ ჟურნალში გამოქვეყნებულის შემთხვევაში - ონლაინ ვერსია.

ლ) ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი (ინგლისური ენის ცოდნის B2 დონის სერთიფიკატი (TOEFL (iBT 79); IELTS 6.5 (Acad.); FCE B; YDS 80; Pearson PTE Acad. 78) ან უსდ-ს ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ათვისების დამადასტურებელი დიპლომი, ან ცნობა უსდ-დან, რომ სასწავლო კურსი მიჰყავდა ინგლისურ ენაზე (კურსის ხანგრძლივობა უნდა იყოს მინიმუმ ერთი თვე), ან სწავლების საერთაშორისო გამოცდილების დამადასტურებელი სერთიფიკატი. იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი ვერ წარმოადგენს ზემოთაღნიშნულ ვერც ერთ დოკუმენტს, ის აბარებს სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ ინგლისური ენის გამოცდას.

6. ასისტენტის თანამდებობის დასაკავებლად, კონკურსანტი ვალდებულია საპროცედურო კომისიას წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის, ან პასპორტის ასლი;

ბ) განცხადება (დანართი 2);

გ) სააპლიკაციო ფორმა (დანართი 3);

დ) 2 (ორი) ფოტოსურათი, ზომით 3X4;

ე) უმაღლესი განათლების (მაგისტრის/ ამ მასთან გათანაბრებული) დოკუმენტის/ების ასლი ნოტარიულად დამოწმებული;

ვ) დოქტურანტურაში სწავლის დამადასტურებელი ცნობა;

ზ) ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი (ინგლისური ენის ცოდნის B2 დონის სერთიფიკატი (TOEFL (iBT 79); IELTS 6.5 (Acad.); FCE B; YDS 80; Pearson PTE Acad. 78) ან უსდ-ს ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ათვისების დამადასტურებელი დიპლომი, ან ცნობა უსდ-დან, რომ სასწავლო კურსი მიჰყავდა ინგლისურ ენაზე (კურსის ხანგრძლივობა უნდა იყოს მინიმუმ ერთი თვე), ან სწავლების საერთაშორისო გამოცდილების დამადასტურებელი სერთიფიკატი. იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი ვერ წარმოადგენს ზემოთაღნიშნულ ვერც ერთ დოკუმენტს, ის აბარებს სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ ინგლისური ენის გამოცდას.

7. პროფესიული ნიშნით ასისტენტ პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად, კონკურსანტი ვალდებულია საპროცედურო კომისიას წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის, ან პასპორტის ასლი;

ბ) განცხადება (დანართი 2);

გ) სააპლიკაციო ფორმა (დანართი 3);

დ) 2 (ორი) ფოტოსურათი, ზომით 3X4;

ე) უმაღლესი განათლების (მაგისტრის/ ამ მასთან გათანაბრებული) დოკუმენტის/ების ასლი ნოტარიულად დამოწმებული;

ვ) პროფესიული მიმართულებით მუშაობის (არანაკლებ ხუთი წლისა) დამადასტურებელი დოკუმენტი დამოწმებული შესაბამისი დაწესებულების მიერ, ვაკანტური მიმართულების ან დარგს გათვალისწინებით;

ზ) ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი (ინგლისური ენის ცოდნის B2 დონის სერთიფიკატი (TOEFL (iBT 79); IELTS 6.5 (Acad.); FCE B; YDS 80; Pearson PTE Acad. 78) ან უსდ-ს ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ათვისების დამადასტურებელი დიპლომი, ან ცნობა უსდ-დან, რომ სასწავლო კურსი მიჰყავდა ინგლისურ ენაზე (კურსის ხანგრძლივობა უნდა იყოს მინიმუმ ერთი თვე), ან სწავლების საერთაშორისო გამოცდილების დამადასტურებელი სერთიფიკატი. იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი ვერ წარმოადგენს ზემოთაღნიშნულ ვერც ერთ დოკუმენტს, ის აბარებს სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ ინგლისური ენის გამოცდას.

8. ზემოაღნიშნული დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ან ინგლისურ ენაზე. ნათარგმნი დოკუმენტები დამოწმებული უნდა იყოს ნოტარიული წესით.

9. კონკურსანტი ვალდებულია შევსებული სააპლიკაციო ფორმა და თანდართული დოკუმენტები წარმოადგინოს როგორც ნაბეჭდი ასევე ელექტრონული სახით (CD-ზე ჩაწერილი) და სააპლიკაციო ფორმაში მითითებული თანმიმდევრობით.

მუხლი 7. აფილირების წესი

1. კონკურსანტის მიერ დოკუმენტების წარმოდგენის ეტაპზე საპროცედურო კომისიის წევრის მიერ კონკურსანტისათვის შეთავაზებული იქნება ორი ფორმა აფილირების და აფილირების გარეშე აკადემიური თანამდებობის დაკავების შესახებ.

ა) აფილირების ფორმა - რომელიც გულისხმობს აკადემიური თანამდებობის დაკავებას მხოლოდ სასწავლო უნივერსიტეტში;

ბ) აფილირების გარეშე ფორმა - რომელიც გულისხმობს, რომ პირი უკვე არჩეულია ან აპირებს აკადემიურ თანამდებობაზე სხვა დაწესებულებაში დასაქმებას და აფილირების შესახებ ხელშეკრულება აქვს დადებული სხვა უმაღლეს სასწავლებელთან.

2. კონკურსანტის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის არჩევის შემთხვევაში, სასწავლო უნივერსიტეტი დაუდებს აფილირების შესახებ შეთანხმებას, აკადემიურ კონკურსში გამარჯვების შემდეგ.

3. კონკურსანტს, რომელიც ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად წარადგენს ფორმას დოკუმენტების გადარჩევის ეტაპზე ავტომატურად დაემატება 1 (ერთი) ქულა.

თავი II. კომისიების მუშაობის წესი

მუხლი 8. საპროცედურო და საკონკურსო კომისიები

1. სასწავლო უნივერსიტეტში საკონკურსო განაცხადების მიღებისა და რეგისტრაციის, კონკურსანტების განცხადებების განხილვისა და აკადემიური პერსონალის არჩევის მიზნით სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება საპროცედურო და საკონკურსო კომისიები.

2. კომისიების შექმნის შესახებ რექტორის ბრძანებით განისაზღვრება კომისიების შექმნის ვადა, შემადგენლობა, მათ შორის სარეზერვო წევრები. კომისიები უფლებამოსილნი არიან მუშაობას შეუდგნენ რექტორის ბრძანებით გათვალისწინებულ ვადებში.

3. საკონკურსო კომისიების დაკომპლექტების შემთხვევაში კომისიის წევრებთან იდება მომსახურების ხელშეკრულება, სადაც გაიწერება მხარეთა უფლება-მოვალეობები.

4. საკონკურსო კომისიების მიერ წინამდებარე დებულებით განსაზღვრული წესის შეუსრულებლობის ან ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში რექტორი უფლებამოსილია დაითხოვოს კომისიები და წინამდებარე დებულებით განსაზღვრული წესით შექმნას ახალი შემადგენლობა.

მუხლი 9. საპროცედურო კომისია

1. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღების, რეგისტრაციაში გატარების და საკონკურსო კომისიისათვის წარდგენას უზრუნველყოფს საპროცედურო კომისია.

2. საპროცედურო კომისია შედგება მინიმუმ 3 (სამი) წევრისაგან. საპროცედურო კომისიის წევრი/ები ინიშნება რექტორის ბრძანების საფუძველზე.

3. რექტორის ბრძანებით განისაზღვრება საპროცედურო კომისიის შემადგენლობიდან თავმჯდომარის და სხდომის მდივანის უფლებამოსილების შემსრულებელი.

4. საპროცედურო კომისიის მუშაობის სხდომის ოქმს ადგენს სხდომის მდივანი.

5. საპროცედურო კომისია თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ანგარიშვალდებულია რექტორის წინაშე.

6. საპროცედურო კომისია:

ა) იღებს კონკურსანტების საბუთებს;

ბ) სარეგისტრაციო ჟურნალში ახორციელებს კონკურსანტთა რეგისტრაციას (დანართი 4);

გ) გასცემს კონკურსანტზე დოკუმენტების მიღების შესახებ დამადასტურებელ ცნობას (რომელშიც აღინიშნება განმცხადებლის სახელი გვარი, დასაკავებელი თანამდებობის დასახელება, ჩაბარებულ დოკუმენტთა რაოდენობა საბუთების მიღების თარიღი და რიგითი ნომერი)(დანართი 5).

დ) ამოწმებს კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი პუბლიკაციების/საკონფერენციო მასალების და სხვა ქსეროასლების შესაბამისობას დედანთან.

7. კონკურსანტის მიერ დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იყოს რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადებში. ვადის დარღვევით შემოტანილი განცხადება არ ექვემდებარება მიღებასა და რეგისტრაციას.
8. საკონკურსო დოკუმენტაციის არასრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში საბუთები მიღებას არ ექვემდებარება, გარდა ინგლისურ ენაში, ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატის არქონისა.
9. განცხადებების და შესაბამისი დოკუმენტაციის მიღება ფიქსირდება სპეციალურ ზონარგაყრილ სარეგისტრაციო ჟურნალში, რომლის ყოველი გვერდი წინასწარ დანომრილია და დამოწმებული სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ხელწერითა და ბეჭდით.
10. განცხადებების მიღების ვადის დასრულებისთანავე საპროცედურო კომისიის მდივანი სარეგისტრაციო ჟურნალში აფიქსირებს რამდენი განაცხადით დასრულდა სარეგისტრაციო ჟურნალის წარმოება.
11. განცხადებების მიღების დროს დაშვებული შეცდომის შესახებ ჩანაწერი უნდა გაკეთდეს სარეგისტრაციო ჟურნალის „შენიშვნის“ გრაფაში. სარეგისტრაციო ჟურნალში ჩანაწერის გადასწორება დაუშვებელია. „შენიშვნის“ გრაფის შევსების შემდეგ განაცხადის მიღება უნდა გაფორმდეს ახალი გრაფიდან.
12. საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადის ამოწურვისთანავე არაუგვიანეს ამ ვადის ამოწურვიდან მეორე დღისა საპროცედურო კომისია ვალდებულია გადასცეს საკონკურსო დოკუმენტაცია მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეს.
13. საპროცედურო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს საკონკურსო კომისიის წევრი.

მუხლი 10. საკონკურსო კომისია

1. სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსანტის შეფასების და გამარჯვებულად გამოვლენის მიზნით სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება საკონკურსო კომისია (შემდგომში - „კომისია“).
2. საკონკურსო კომისიის წევრი უნდა იყოს კომპეტენტური სპეციალისტი, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.
3. კომისია შედგება 5 (ხუთი) წევრისაგან. კომისიის წევრები ინიშნება რექტორის ბრძანების საფუძველზე. კომისიის ერთ-ერთი წევრი სავალდებულო წესით უნდა იყოს ინგლისური ენის სპეციალისტი.
4. კომისიის სხდომას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, რომელიც აირჩევა კომისიის წევრების მიერ მათი შემადგენლობიდან პირველივე სხდომაზე, ხოლო მოადგილესა და მდივანს კომისიის წევრთა შემადგენლობიდან ასახელებს თავად თავმჯდომარე. თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში სხდომას/ებს ხელმძღვანელობს თავმჯდომარის მოადგილე. ასეთ შემთხვევაში მოადგილე სარგებლობს თავმჯდომარის უფლებამოსილებებით. კომისიის მდივნის სხდომაზე არყოფნის შემთხვევაში კომისია მისი შემადგენლობიდან ირჩევს კომისიის სხდომის მდივანს.
5. კომისიის სხდომის ოქმის შედგენას ახორციელებს კომისიის თავმჯდომარის მიერ დანიშნული სხდომის მდივანი.
6. კომისია თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ანგარიშვალდებულია რექტორის წინაშე.
7. საკონკურსო კომისიის წევრი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალობის პრინციპი კომისიის მუშაობის პროცესში.

8. საკონკურსო კომისია:

- ა) ამოწმებს წარდგენილი დოკუმენტების შესაბამისობას საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან;
 - ბ) იღებს გადაწყვეტილებას კონკურსანტის დისკვალიფიკაციის შესახებ;
 - გ) იღებს გადაწყვეტილებას კომისიის წევრის აცილების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
 - დ) იღებს გადაწყვეტილებას კონკურსანტისათვის ინგლისური ენის გამოცდის ჩატარების თაობაზე;
 - ე) ახორციელებს გასაუბრებას კონკურსანტებთან;
 - ვ) საჭიროების შემთხვევაში იღებს გადაწყვეტილებას საცდელი ლექციის ჩატარების შესახებ;
 - ზ) იღებს გადაწყვეტილებას გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენის შესახებ;
 - თ) იღებს გადაწყვეტილებას კონკურსის ჩაშლილად გამოცხადების შესახებ.
9. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აისახება კომისიის სხდომის ოქმში, რომლის გაცნობის უფლება აქვს დაინტერესებულ პირს, გარდა კანონით განსაზღვრული პერსონალური ან/და კომერციული ინფორმაციისა.
10. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება 01 (ერთი) კალენდარული დღის ვადაში წარედგინება რექტორს.

მუხლი 11. კომისიების მუშაობაში მონაწილეობის გამომრიცხავი გარემოებები, აცილება

1. კომისიების მუშაობაში არ შეიძლება მონაწილეობდეს ის წევრი, რომელიც:
 - ა) თვითონ არის კონკურსანტი;
 - ბ) კონკურსანტის ნათესავი;
 - გ) პირადად, დაინტერესებულია საქმის შედეგით;
 - დ) სხვა გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს მის მიუკერძოებლობაში.
2. ამ მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, ნათესავეებად ითვლებიან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი პირები.
3. საპროცედურო და საკონკურსო კომისიის წევრები ვალდებული არიან კომისიების თავმჯდომარეს აცნობონ ამ მუხლით აღნიშნული გარემოებებისა და თვითაცილების შესახებ, ხოლო თავმჯდომარე ვალდებულია აღნიშნული ფაქტის შესახებ აცნობოს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორს.

მუხლი 12. პირის განცხადება აცილების შესახებ

1. კომისიების მუშაობაში მონაწილე პირს, კონკურსანტს ან სხვა დაინტერესებულ პირს, რომელიც მიიჩნევს რომ არსებობს კომისიების აცილების საფუძველი უფლება აქვს წერილობით განუცხადოს მათ აცილება.
2. აცილების შესახებ განცხადება უნდა იყოს დასაბუთებული.
3. კომისიის წევრის აცილების საკითხს წყვეტს უშუალოდ კომისიები ამ წევრის მონაწილეობის გარეშე.
4. აცილების შესახებ განცხადება კომისიებს უნდა წარედგინოს მუშაობის დაწყებიდან არაუგვიანეს მუშაობის დამთავრებამდე.
5. კომისიები აცილებული წევრის/ების გარეშე აგრძელებს მუშაობას.
6. კომისიების ყველა წევრის აცილების განცხადების შემთხვევაში საკითხს წყვეტს რექტორი. რექტორის მიერ კომისიების ყველა წევრის აცილების შემთხვევაში რექტორი საპროცედურო და საკონკურსო კომისიებს აკომპლექტებს ახალი შემადგენლობით.

მუხლი 13. საკონკურსო კომისიის სხდომის ჩატარების წესი

1. კომისიის სხდომაზე მოწვეული უნდა იქნეს კომისიის ყველა წევრი. კომისიის წევრი ვალდებულია ესწრებოდეს სხდომას უშუალოდ.
2. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია განიხილოს საკითხი და მიიღოს გადაწყვეტილება თუ მას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.
3. საკონკურსო კომისია საპროცედურო კომისიისგან პირველ სხდომაზე იბარებს შემოსულ დოკუმენტაციას მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
4. კომისია ამოწმებს კონკურსანტის განცხადების, ანკეტის და თანდართული დოკუმენტაციის სისრულესა და შესაბამისობას ამ დებულების მე-5 მუხლში მოყვანილ მოთხოვნებთან. დარღვევის შემთხვევაში უფლებამოსილია მიიღოს წერილობითი გადაწყვეტილება კონკურსანტის კონკურსიდან მოხსნის თაობაზე.
5. კომისია ასევე ამოწმებს კონკურსანტის ანკეტის ინფორმაციის სისწორეს წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და არასწორი ინფორმაციის შემთხვევაში უფლებამოსილია მიიღოს წერილობითი გადაწყვეტილება კონკურსანტის კონკურსიდან მოხსნის თაობაზე.
6. კომისია წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის/შეფასების შემდგომ ატარებს კონკურსის მეორე ეტაპს - კონკურსანტთან ზეპირ გასაუბრებას. საჭიროების შემთხვევაში კომისიას შეუძლია კონკურსანტს მოსთხოვოს ინგლისური ენის გამოცდის ჩაბარება და/ან საცდელი ლექციის ჩატარება. კომისია ვალდებულია გასაუბრების თარიღი და ინგლისური ენის გამოცდის და/ან ლექციის ჩატარების თარიღი აცნობოს კონკურსანტს ერთი დღით ადრე;
7. საკონკურსო კომისია გადაწყვეტილებას იღებს ოქმის სახით.

თავი III. შეფასების კრიტერიუმები და მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი

მუხლი 14. კონკურსანტთა შეფასების კრიტერიუმები

1. საკონკურსო კომისია განცხადებების შეფასებისას ხელმძღვანელობს წინამდებარე დებულებაში მითითებული კრიტერიუმებით.
2. კონკურსი შედგება სამი ეტაპისაგან:
 - ა) პირველი ეტაპი: დოკუმენტების შემოწმება (ინგლისური ენის გამოცდა საჭიროების შემთხვევაში);
 - ბ) მეორე ეტაპი: გასაუბრება;
 - გ) მესამე ეტაპი: საცდელი ლექციის ჩატარება (საჭიროების შემთხვევაში).
3. პირველ ეტაპზე საკონკურსო კომისია ახორციელებს კონკურსანტების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციის შემოწმებას, დოკუმენტების არასრულად ან არასწორი ინფორმაციის წარმოდგენის შემთხვევაში საკონკურსო კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება კონკურსანტის კონკურსიდან მოხსნის შესახებ.
4. პირველი ეტაპის შეფასება ხდება ქულებით, კონკურსანტის შეფასების ფორმის მიხედვით (დანართი 6), რომელშიც დეტალურად გაწერილია შეფასების კრიტერიუმები.
5. თუ კონკურსანტი პირველ ეტაპზე ვერ დააგროვებს ჯამურ 4 ქულაზე მეტს, ანუ ვერ აკმაყოფილებს საკონკურსო მოთხოვნებს, ის არ დაიშვება კონკურსის მეორე ეტაპზე (თითოეული კონკურსანტის საბოლოო ჯამური ქულა გამოითვლება კომისიის თითოეული წევრის მიერ მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულით).
6. პირველ ეტაპზე საკონკურსო კომისია ასევე ამოწმებს კონკურსანტის მიერ ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტის არსებობას და ვალიდურობას. რის შემდგომაც კომისია იღებს გადაწყვეტილებას კონკურსანტებისათვის ინგლისური ენაში გამოცდის ჩატარების შესახებ. კომისია ასევე უფლებამოსილია ეჭვქვეშ დააყენოს ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი და დამატებით მოსთხოვოს კონკურსანტს გამოცდის ჩაბარება. ინგლისური ენის გამოცდის ჩატარებასა და საგამოცდო

საკითხების ორგანიზებას უზრუნველყოფს კომისიის წევრი ინგლისური ენის სპეციალისტი.

7. საკონკურსო კომისია კონკურსანტის შეფასების პირველი ეტაპის დასრულების შემდგომ კონკურსანტის მიერ დაგროვილი ჯამური ქულის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას (გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით) კონკურსანტის მეორე ეტაპზე (ზეპირ გასაუბრება) დაშვებისა და საჭიროების შემთხვევაში საცდელი ლექცია ჩატარების შესახებ.

8. კომისია ადგენს გასაუბრების ჩატარების თარიღს და დროს. ზეპირი გასაუბრების განრიგი ქვეყნდება საჯაროდ, გასაუბრების დაწყების თარიღამდე 1 (ერთი) კალენდარული დღით ადრე.

9. კონკურსის მეორე ეტაპზე კონკურსანტთან ტარდება გასაუბრება ინგლისურ ენაზე, რომლის მიზანია დაზუსტდეს ან/და დაკონკრეტდეს, შემოწმდეს, კონკურსანტის მიერ სააპლიკაციო ფორმაში მითითებული ინფორმაცია.

10. კონკურსანტი ვალდებულია გამოცხადდეს გასაუბრებაზე მისთვის განსაზღვრულ დროს. დაგვიანების შემთხვევაში საკონკურსო კომისია უფლებამოსილია არ დაუშვას კონკურსანტი გასაუბრებაზე და მოხსნას კონკურსიდან ან გასაუბრება ჩაატაროს მოგვიანებით იმავე დღეს. საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში (სამსახურებრივი მივლინება, ავადმყოფობა და ა.შ.) კონკურსის მეორე ეტაპი შესაძლოა ჩატარდეს ელექტრონული საშუალებით.

11. კონკურსანტის მიერ გასაუბრებაზე გამოუცხადებლობა ან უარის თქმა წარმოადგენს კონკურსანტის კონკურსიდან მოხსნის საფუძველს.

12. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება მეორე ეტაპის მიმდინარეობის ვიდეო ან აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით.

13. გასაუბრება კონკურსანტებთან ტარდება ინგლისურ ენაზე. გასაუბრებისას ინგლისური ენის ცოდნა შეფასდება საკონკურსო კომისიის ინგლისური ენის სპეციალისტის მიერ.

14. გასაუბრების დასრულების შემდეგ კომისია ღია კენჭისყრის საფუძველზე იღებს შემდეგი ორი გადაწყვეტილებიდან ერთ - ერთს: „გადასულია“ ან „საჭიროებს დამატებით ლექციის ჩატარებას“.

15. საცდელი ლექცია კონკურსანტის მიერ უნდა ჩატარდეს ინგლისურ ენაზე.

16. კონკურსანტის მიერ საცდელ ლექციაზე გამოუცხადებლობის ან ჩატარებაზე უარის თქმის შემთხვევაში კონკურსანტი მოიხსნება კონკურსიდან.

17. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება კონკურსის მესამე ეტაპის მიმდინარეობის ვიდეო ან აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით.

18. მეორე და მესამე ეტაპზე გამარჯვებული გამოვლინდება კომისიის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით ღია კენჭისყრის საფუძველზე. გასაუბრებისა და საცდელი ლექციის ჩატარების შედეგები ფორმდება კომისიის დასკვნის სახით ოქმში.

მუხლი 15. გადაწყვეტილების მიღება

1. გადაწყვეტილების მიღების დროს, თანაბარი ქულების შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება იმ კონკურსანტებს, რომლებმაც განაცხადეს წინასწარი თანხმობა სასწავლო უნივერსიტეტთან აფილირების ხელშეკრულების დადების შესახებ წინამდებარე კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში.

2. წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული პროცედურების დასრულების შემდგომ საკონკურსო კომისია შედეგების ურთიერთშეჯერების შემდგომ იღებს გადაწყვეტილებას გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ. გადაწყვეტილება უნდა

ეფუძნებოდეს წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის, გასაუბრების და საცდელი ლექციის შეფასების შედეგებს, რაც აისახება საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმში.

3. კონკურსანტების შეფასებების განხორციელების შემდგომ ტარდება კენჭისყრა და კონკრეტულ საკონკურსო თანამდებობაზე არჩეულად ითვლება პირი, რომელიც პირველ და მეორე ეტაპზე (მესამე ეტაპი გათვალისწინებული იქნება ჩატარების შემთხვევაში) მიიღებს სხვა კონკურსანტებზე მეტ ქულას და ხმას. საკონკურსო კომისიის თითოეულ წევრს აქვს იმდენი ხმის უფლება, რამდენი საკონკურსო პოზიციაც არის გამოცხადებული. საკონკურსო კომისია ვალდებულია დეტალურად აღწეროს სხდომის ოქმში მიღებული გადაწყვეტილების საფუძვლიანობა.

4. კონკურსანტთა მიერ თანაბარი ქულებისა და ვაკანტური აკადემიური ადგილების არ არსებობის შემთხვევაში კომისია ვალდებულია განმეორებით უყაროს კენჭი ღია კენჭისყრის საფუძველზე და გამოავლინოს გამარჯვებული კანდიდატი.

5. საბოლოო შედეგების მიღების შემდგომ კომისია ადგენს შემაჯამებელ ოქმს გამარჯვებულ კონკურსანტთა გამოვლენის შესახებ.

6. კონკურსი ითვლება ჩაშლილად თუ მასში მონაწილეობის მისაღებად არ იქნა წარდგენილი არცერთი განცხადება ან კომისიის მიერ ვერ იქნება შერჩეული ვერც ერთი კონკურსანტი.

7. საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული შემაჯამებელი ოქმი მტკიცდება რექტორის ბრძანებით. რექტორი ბრძანება შემაჯამებელ ოქმთან ერთად აისახება სასწავლო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოცემიდან არაუგვიანეს ორი სამუშაო დღისა.

მუხლი 16. კონკურსის პროცედურისა და შედეგების გასაჩივრების წესი

1. საკონკურსო კომისიის მიერ ამ წესით დადგენილი მოთხოვნების დარღვევასთან დაკავშირებით კონკურსანტს უფლება აქვს დარღვევიდან 3 (სამი) დღის განმავლობაში შეიტანოს განცხადება/საჩივარი საპროცედურო კომისიაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ საჩივარი არ მიიღება.

2. განცხადება/საჩივარი უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს:

ა) შესაბამისი საკონკურსო კომისიის დასახელება;

ბ) განცხადების/საჩივრის შემომტანი პირის სახელი, გვარი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი;

გ) განცხადების/საჩივრის შემომტანი პირის სტატუსი;

დ) დარღვევის შინაარსი;

ე) განცხადების/საჩივრის შემომტანი პირის დასაბუთებული მოთხოვნა;

ვ) განცხადების/საჩივრის შემომტანი პირის ხელმოწერა, თარიღი და დრო.

3. საპროცედურო კომისია უზრუნველყოფს განცხადების/საჩივრის რეგისტრაციას და საკონკურსო კომისიისათვის დროულად გადაცემას. განმცხადებელს გადაეცემა ცნობა, რომელშიც აღინიშნება განცხადების/საჩივრის კომისიაში მიღების თარიღი და დრო. საკონკურსო კომისია ვალდებულია განცხადების/საჩივრის შეტანიდან 3 (სამი) დღის ვადაში განიხილოს განცხადება/საჩივარი და მიიღოს გადაწყვეტილება მისი დაკმაყოფილების, უარის თქმის ან მისი განუხილველად დატოვების შესახებ.

4. თუ განცხადების/საჩივრის შინაარსი ეხება კონკრეტული კომისიის წევრის მიუკერძოებლობის საკითხს, მაშინ საკითხის განხილვა განხორციელდება ამ პირის მონაწილეობის გარეშე. თუ ეჭვქვეშ დგას კომისიის შემადგენლობის წევრთა ნახევარზე მეტის მიუკერძოებლობის საკითხი, მაშინ რექტორის გადაწყვეტილებით განხორციელდება ამ პირების ჩანაცვლება.

მუხლი 17. კონკურსის განმეორებით ჩატარების წესი

1. ვაკანსიით გამოცხადებულ ადგილთა შეუვსებლობის ან კონკურსის ჩაშლილად გამოცხადების შემთხვევაში რექტორის ბრძანების საფუძველზე შეიძლება კონკურსი ჩატარდეს განმეორებით.

მუხლი 18. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე დებულება ძალაში შედის სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დატკიცების შემდგომ.
2. წინამდებარე დებულებაში ცვლილება/დამატება განხორციელდება აკადემიური საბჭოს დადგენილებით.
3. საკონკურსო კომისიის სრული დოკუმენტაცია კონკურსის დასრულების შემდგომ გადაეცემა სასწავლო უნივერსიტეტის კანცელარიას. კონკურსანტის წერილობითი ფორმით მოითხოვნის შემთხვევაში უბრუნდება დოკუმენტები, ხოლო ქსეროასლები რჩება კანცელარიისა და არქივის სამსახურს.

დანართი №1

შპს „ბაუ ინტერნეიშენალ უნივერსიტი, ბათუმი“
სასწავლო უნივერსიტეტის
საკონკურსო კომისიას

მოქალაქე _____

(სახელი, გვარი, მისამართი)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მსურს მონაწილეობა მივიღო შპს „ბაუ ინტერნეიშენალ უნივერსიტი, ბათუმი“ სასწავლო
უნივერსიტეტის
_____ ფაკულტეტის

მიმართულებით

აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში.

ვადასტურებ, რომ გავეცანი და ვეთანხმები „ბაუ ინტერნეიშენალ უნივერსიტი, ბათუმი“
სასწავლო უნივერსიტეტის წესდებას და აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა
და კონკურსის ჩატარების ერთიან წესსა და პირობებს.

ხელმოწერა: _____

თარიღი: _____

საკონტაქტო ინფორმაცია:

ტელეფონი/ ელ.ფოსტა

რეგისტრირებულია: _____

თარიღი № სარეგისტრაციო ჟურნალის მიხედვით

სააპლიკაციო ფორმა

(შეავსეთ მხოლოდ ის პუნქტები, რომელიც ეხება თქვენ მიერ არჩეულ აკადემიურ თანამდებობას)

პირადი ინფორმაცია განმცხადებლის შესახებ

პირადი ნომერი	
სახელი	
გვარი	
დაბადების თარიღი	
სქესი	
მოქალაქეობა	
იურიდიული მისამართი	
ფაქტიური მისამართი	
ტელეფონი	
მობილური	
ქალაქის ინდექსი	
ელექტრონული ფოსტა	

ფოტო

სამეცნიერო ინტერესების სფერო:

1	
2	
3	

საკონკურსო პოზიცია

	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
	პროფესორი	ასოცირებული პროფესორი	ასისტენტ პროფესორი	ასისტენტი
საკონკურსო თანამდებობების სრული დასახელება				

I. კატეგორია: განათლება, აკადემიური ხარისხი და სამუშაო გამოცდილება

1.1 განათლება

უსდ (დაამთავრა)	
სწავლების საფეხური (შეავსეთ ყველა მიღებული კვალიფიკაცია) (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, ერთსაფეხურიანი 4 წლიანი, ერთსაფეხურიანი 5 წლიანი, ერთსაფეხურიანი 6 წლიანი, რეზიდენტურა)	
დიპლომის ნომერი	
გაცემის თარიღი	
კვალიფიკაცია	
მიმართულება (კვალიფიკაციის ჩარჩოს მიხედვით)	
დარგი/კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის ჩარჩოს მიხედვით)	

1.2. სადოქტორო ხარისხი (PhD)

აკადემიური ხარისხი დოქტორთან გათანაბრებული, დოქტორი)	
მოპოვების თარიღი	
თემის სახელწოდება (არსებობის შემთხვევაში)	
მიმართულება (კვალიფიკაციის ჩარჩოს	

მიხედვით)	
დარგი/სპეციალობა (კვალიფიკაციის ჩარჩოს მიხედვით)	

1.3. სამუშაო გამოცდილება ბოლო 6 წელი (დაიწყეთ ამჟამინდელი პოზიციით)

#	-დან -მდე	სამუშაო ადგილი
1		
2		
3		
4		
5		
6		
7		
8		
9		
10		

II. კატეგორია: საკონკურსო თანამდებობის პროფილის შესაბამისი პედაგოგიური და სასწავლო-მეთოდური საქმიანობა

2.1 პედაგოგიური სტაჟი და გამოცდილება

6 წელზე მეტი <input type="checkbox"/>	6 წელზე ნაკლები <input type="checkbox"/>
---------------------------------------	--

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სწავლების საფეხური	სასწავლო კურსები

2.2. სასწავლო-მეთოდური საქმიანობა (ბოლო 6 წლის განმავლობაში)

სახელმძღვანელო (მათ შორის დამხმარე)	
	სახელმძღვანელოს დასახელება, გამოცემის წელი
სალექციო კურსები (გამოქვეყნებული/ელექტრონული)	
	სალექციო კურსების დასახელება, გამოცემის წელი/ ელექტრონული კურსებისათვის ელ. მისამართი
აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამა	
	პროგრამის დასახელება (უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მითითებით სადაც ეს

	პროგრამა აკრედიტირდა)

2.3. კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, ტრენინგები (ბოლო 6 წლის განმავლობაში)

თარიღი	კურსების/ტრენინგების დასახელება	დიპლომის/სერთიფიკატის ნომერი

2.4. სასწავლო კურსების დასახელება, რომელთა წაკითხვა შეუძლია კონკურსანტს (პრიორიტეტი ენიჭება უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამის კურსთან მიმართებით წარმოდგენილ ინფორმაციას)

№№	კურსის დასახელება ლექციების კურსის/რიდერის ელექტრონული ვერსია	საგანმანათლებლო პროგრამა	ლექცია	პრაქტიკული/ჯგ უფში მუშაობა/სასწავლ ლაბორატორიულ სამუშაო
1				
2				
3				

2.5. წარმოდგენილი სილაბუსი (წარმოადგინეთ დანართის სახით)

№№	კურსის დასახელება	საგანმანათლებლო პროგრამა	მეცადინეობის ფორმა		
			ლექცია	პრაქტიკული/ჯგუფში მუშაობა/სასწავლო პრაქტიკა სემინარი	ლაბორატორიული სამუშაო
1					

III. კატეგორია: საკონკურსო თანამდებობის პროფილის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა (ბოლო 6 წლის განმავლობაში):

3.1. მნიშვნელოვანი პუბლიკაციები არაუმეტეს 10-ისა კონკურსანტის შეხედულებისამებრ (ბოლო 6 წლის განმავლობაში)

(ცხრილი შეავსეთ ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დაცვით, დაიწყეთ უახლესი ინფორმაციით).

1	
2	
3	
4	
5	
6	
7	
8	
9	
10	

3.2. კონკურსანტის შეხედულებისამებრ მნიშვნელოვანი მოხსენებები ეროვნულ სამეცნიერო კონფერენციებზე ბოლო 6 წლის განმავლობაში (არა უმეტეს 10-ისა), შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს დანართის სახით.

	ეროვნული კონფერენცია
1.	
2.	
3.	
4.	
5.	
6.	
7.	
8.	
9.	
10.	

3.3 კონკურსანტის შეხედულებისამებრ მნიშვნელოვანი მოხსენებები საერთაშორისო და ონლაინ სამეცნიერო კონფერენციებზე ბოლო 6 წლის განმავლობაში (არა უმეტეს 10-ისა), შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს დანართის სახით.

	საერთაშორისო ან/და ონლაინ კონფერენცია
1.	
2.	
3.	
4.	
5.	
6.	
7.	
8.	
9.	
10.	

3.4. კვლევით ან/სხვა სახის პროექტებში მონაწილეობა ბოლო 6 წლის განმავლობაში.

№	განხორციელების წლები	დონორი ორგანიზაცია, პროექტის/ხელშეკრულების №	პროექტის დასახელება	როლი პროექტში
1				
2				

3.5. საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული ერთი ნაშრომი (წარმოდგენილი უნდა იყოს დანართის სახით ნაბეჭდი, ან ონლაინ ვერსია)

პუბლიკაციის სახეობა	პუბლიკაციის სათაური, ავტორები, ჟურნალის/გამომცემლობის დასახელება, ტიპი/ტომი, ვერდები, პუბლიკაციის ელექტრონული მისამართი	გამოქვეყნების წელი

3.6. საკონკურსო თანამდებობის პროფილის შესაბამისი მიმართულების/დარგის განვითარების, სწავლებისა და სამეცნიერო კვლევების კონცეფცია (წარმოდგენილი უნდა იყოს დანართის სახით)

IV. კატეგორია: სხვა სახის აქტივობა (ბოლო 6 წელი)

4.1. სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელობა (მხოლოდ პროფესორის)

№	დისერტაციის სათაური

4.2. მიღწევები, სტიპენდია, ჯილდო და სხ.

№	აქტივობის დასახელება

4.3. უცხო ენების ცოდნა

1		
2		
3		

4.4. კომპიუტერული უნარები

1		
2		
3		

ინფორმაციის სისწორეს ვადასტურებ

ხელმოწერა _____

შპს „ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსიტი, ბათუმი“ სასწავლო უნივერსიტეტის

..... ფაკულტეტის

აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად

წლის ----- გამოცხადებული კონკურსის მონაწილეთა

სარეგისტრაციო ჟურნალი

რეგისტრაციის #	განცხადების შემოტანის თარიღი	განმცხადებლის სახელი და გვარი	მიმართულება	საკონკურსო თანამდებობა	განცხადებისა და ანკეტის დანართები		ხელის მოწერა		შენიშვნა
					დოკუმენტების რაოდენობა	ფურცლების რაოდენობა	რეგისტრატორის	განმცხადებლის	

ჟურნალში დანომრილია, ზონარგაყრილია და ბეჭდით დალუქულია ფურცელი.

ხელმოწერა:

..... /თარიღი/

ცნობა #.....

/სარეგისტრაციო ჟურნალის მიხედვით/

საკონკურსო განცხადების მიღების შესახებ

ემლევა მასზედ, რომ მან 2014 წლის შემოიტანა განცხადება „ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსიტი, ბათუმი“ სასწავლო უნივერსიტეტის ფაკულტეტის მიმართულების აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში.

განცხადებას თან ერთვის:

1. სააპლიკაციო ფორმა ფურცელზე;
2. პირადობის მოწმობის ქსეროასლი;
3. ფოტოსურათი (3X4), 2 ცალი;
4. უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომის ასლი ფურცელზე;
5. სამეცნიერო/აკადემიური ხარისხის (დოქტორანტურაში/რეზიდენტურაში სწავლის) დამადასტურებელი დოკუმენტი (დოკუმენტები)..... ფურცელზე;
6. სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილების (სტაჟის) დამადასტურებელი საბუთი (საბუთები)..... ფურცელზე;
- 6'. პრაქტიკოსი ექიმის შემთხვევაში კლინიკაში მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტი (საბუთები)..... ფურცელზე;
- 6''. პრაქტიკოსი ექიმის შემთხვევაში მიმართულების სერტიფიკატი ფურცელზე;
7. სახელმძღვანელოს (პირველი გვერდი) ან აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამის ასლი. ... ფურცელზე;
8. კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების/ტრენინგების გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატის ასლები .. ფურცელზე;
9. სასწავლო კურსის სილაბუსი ... ფურცელზე;
10. გამოქვეყნებული პუბლიკაციების ნუსხა და ჟურნალის პირველი გვერდისა და სარჩევის ქსეროასლი ფურცელზე;
11. საკონფერენციო პროგრამის პირველი გვერდისა და სარჩევის ქსეროასლი. ... ფურცელზე;
12. სამეცნიერო ან სხვა სახის პროექტი/ების დამადასტურებელი დოკუმენტი. ... ფურცელზე;
13. იმ ჟურნალის პირველი გვერდის ქსეროასლი, სადაც დაბეჭდილია საუკეთესო სამეცნიერო ნაშრომი და თავად სამეცნიერო ნაშრომის ქსეროასლი. ... ფურცელზე;
14. კონცეფცია. ... ფურცელზე.
15. სადოქტორო დისერტაციის ხელ-ბის დამადასტურებელი დოკუმენტი ... ფურცელზე.
16. სხვა დოკუმენტაცია დასახელება ფურცელზე.
17. ინგლისური ენის ცოდნის (B2 დონე) დამადასტურებელი დოკუმენტი დასახელება ფურცელზე.

განცხადება მიიღო:

სახელი, გვარი

ხელმოწერა

კონკურსანტის შეფასების ფორმა

ინფორმაცია კონკურსანტის შესახებ

გვარი	
სახელი	
მამის სახელი	

საკონკურსო პოზიცია

	<input type="checkbox"/> პროფესორი	<input type="checkbox"/> ასოცირებული პროფესორი	<input type="checkbox"/> ასისტენტ პროფესორი	<input type="checkbox"/> ასისტენტი
ფაკულტეტი (საკონკურსო თანამდებობის სრული დასახელება)				

შეფასება

I კატეგორია: კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან

1.1 განათლება შეესაბამება ვაკანსიის პროფილს: დიახ ___ არა ___

1.2 სამეცნიერო ხარისხი შეესაბამება ვაკანსიის პროფილს: დიახ ___ არა ___

1.3 სამუშაო გამოცდილება შეესაბამება ვაკანსიის პროფილს: დიახ ___ არა ___

დიახ - შეესაბამება 1 ქულას; არა შეესაბამება 0 ქულას.

მაღალი შეფასება: 2-3 ქულა

საშუალო შეფასება : 2 ქულა

დაბალი შეფასება: 0-1 ქულა

საერთო შეფასება I კატეგორიის მიხედვით:

მაღალი	საშუალო	დაბალი

II კატეგორია: პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან

2.1 პედაგოგიური გამოცდილება შეესაბამება ვაკანსიის პროფილს: **დიახ** ___ **არა** ___

2.2 სასწავლო-მეთოდური საქმიანობა შეესაბამება ვაკანსიის პროფილს:

სახელმძღვანელო

სალექციო კურსი

საგანმანათლებლო პროგრამა

დიახ ___ **არა** ___

2.3 კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, ტრენინგები შეესაბამება ვაკანსიის პროფილს:

დიახ ___ **არა** ___

2.4 სასწავლო კურსების დასახელება, რომელთა წაკითხვა შეუძლია კონკურსანტს

შეესაბამება ვაკანსიის პროფილს: **დიახ** ___ **არა** ___

2.5 წარმოდგენილი სილაბუსის შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება უნივერსიტეტის დადგენილ მოთხოვნებს: **დიახ** ___ **არა** ___

დიახ - შეესაბამება 1 ქულას; არა შეესაბამება 0 ქულას.

მაღალი შეფასება: 4-5 ქულა

საშუალო შეფასება: 2-3 ქულა

დაბალი შეფასება : 0-1 ქულა

საერთო შეფასება II კატეგორიის მიხედვით

მაღალი	საშუალო	დაბალი

III კატეგორია: საკონკურსო თანამდებობის პროფილის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა:

3.1 მნიშვნელოვანი პუბლიკაციები (სტატია, საკონფერენციო მასალები და სხვა): **დიახ** ___
არა ___

3.2 მოხსენებები ეროვნულ სამეცნიერო კონფერენციებზე: **დიახ** ___ **არა** ___

3.3 მოხსენებები საერთაშორისო და ონლაინ კონფერენციებზე: **დიახ** ___ **არა** ___

3.4 სამეცნიერო ან სხვა სახის პროექტებში მონაწილეობა: **დიახ** ___ **არა** ___

3.5 საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომი შეესაბამება ვაკანსიის პროფილს:

❖ **3.5 პუნქტის შეფასების წესი:** მაქსიმალური შეფასება 5 ქულა.

ქულები გადანაწილდება შემდეგნაირად:

- შეესაბამება მიმართულებას - **1 ქულა;**
- გამოქვეყნებულია საერთაშორისო ციტირების ინდექსის მქონე ჟურნალში - **3 ქულა;**
- გამოქვეყნებულია რეცენზირებადი ინდექსის მქონე ჟურნალში - **1 ქულა;**

3.6 საკონკურსო თანამდებობის პროფილის შესაბამისი დარგის განვითარების, სწავლებისა და სამეცნიერო კვლევების კონცეფცია.

❖ **3.6 პუნქტის შეფასების წესი:** მაქსიმალური შეფასება 4 ქულა.

ქულები გადანაწილდება შემდეგნაირად:

- დეტალურად არის გაწერილი მიმართულების/დარგის განვითარების კონცეფცია - **1 ქულა;**
- დეტალურად არის გაწერილი სწავლების კონცეფცია - **1 ქულა;**
- დეტალურად არის გაწერილი კვლევის კონცეფცია - **1 ქულა;**
- კონცეფცია პასუხობს სასწავლო უნივერსიტეტის მოთხოვნებს და განხორციელებადია - **1 ქულა;**

დიახ - შეესაბამება 1 ქულას; არა შეესაბამება 0 ქულას.

მაღალი შეფასება: 9-13 ქულა

საშუალო შეფასება: 5-8 ქულა

დაბალი შეფასება : 0-4 ქულა

საერთო შეფასება III კატეგორიის მიხედვით:

მაღალი	საშუალო	დაბალი

IV. კატეგორია: სხვა სახის აქტივობა (ბოლო 6 წელი)

4.1 სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელობა: **დიახ** ___ **არა** ___

4.1 პუნქტის შეფასების წესი: მაქსიმალური შეფასება 5 ქულა.

4.2 მიღწევები და/ან დამსახურება, და/ან ჯილდო, სტიპენდია და სხვა შეესაბამება ვაკანსიის პროფილს: **დიახ** ___ **არა** ___

დიახ - შეესაბამება 0 ქულას; არა შეესაბამება 0 ქულას.

მაღალი შეფასება: 3-6 ქულა

საშუალო შეფასება: 1-2 ქულა

დაბალი შეფასება : 0 ქულა

საერთო შეფასება IV კატეგორიის მიხედვით:

მაღალი	საშუალო	დაბალი

² კონცეფციის წარმოდგენა სავალდებულოა მხოლოდ იმ კონკურსანტებისთვის, რომელთაც სურთ პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავება

კონკურსანტის საბოლოო შეფასება

I კატეგორია	II კატეგორია	III კატეგორია

მაღალი შეფასება: მინიმუმ 16-27 ქულა

საშუალო შეფასება: მინიმუმ 9-15 ქულა

დაბალი შეფასება : 5-8 ქულა

ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს : 0 -4 ქულა

საბოლოო გადაწყვეტილება (ჩაიწეროს ჯამური ქულა შეფასებითურთ)

.....

კომისიის წევრების ხელმოწერა

თარიღი